ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №62

14.07.2020 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, თარაშ შურღაია, ერეკლე კუხიანიძე, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან ხაბეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ზექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **დავით ჭელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ჯაბა ჯიშკარიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **სერგო ბირკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი;
2. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
3. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
4. **ვიქტორ წილოსანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსი;
5. **ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა გაიმართება ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 2 ივლისის №12-032018473-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის წარმომადგენელი/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 3 ივლისის №12-03201851-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის წარმომადგენელი/

3. „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 9 ივლისის №12-032019131-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
იურიდიული საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 214 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტების თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 9 ივლისის №12-032019183-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების
სამსახურის წარმომადგენელი/

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 10 ივლისის №12-0320192123-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

6. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 13 ივლისის №12-032019533-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების
სამსახურის წარმომადგენელი/

7. **მიმდინარე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ **(წერილი №12-032017048-03 18.06.2020წ. - დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული №01201421712-67 განცხადება (მე-2 წინადადება))** - ოქმს ერთვის.

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების
სამსახურის წარმომადგენელი/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 2 ივლისის №12-032018473-03 წერილი)

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ვ. წილოსანმა.

მომხსენებლის (ვ. წილოსანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი №2-ის შესაბამისად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ქალაქის საუკეთესო ინტერესების დაცვას ემსახურება, მიღებული გადაწყვეტილებით, რიგ შემთხვევაში, იზღუდება ცალკეული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა უფლებები სამშენებლო პირობების გაუარესების თვალსაზრისით.

კერძო და საჯარო ინტერესების გაწონასწორების პრინციპის გათვალისწინებით, მუნიციპალური სახსრების რაციონალური გამოყენების მიზნიდან გამომდინარე, ზონის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლება შესაძლებელია აღდგენილ იქნას სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემით ან მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის გზით, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 1-ლი ივლისის №20.671.863 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით წარმოდგენილია 5 წინადადება - №0120114812-67, №0120106382-67, №01200641817-67, №0120072464-67, №01201534139-67.

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№0120114812-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, კვალეთის ქ. №1-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.02.050.002) ნაწილზე მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) საცხოვრებელი ზონით ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით №01.17.02.050.002 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

მოცემულ საკადასტრო ერთეულზე განთავსებულია საცხოვრებელი შენობა. ტერიტორია ხვდება განაშენიანების კონტურში და გააჩნია სატრანსპორტო მისადგომი, შესაბამისად ნაკვეთის განვითარება საცხოვრებელი დანიშნულებით შესაძლებელია.

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ინიციატივით, ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, №01.17.02.050.002 საკადასტრო ერთეულის მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კვალეთის ქ. №1-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.02.050.002) ნაწილზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) საცხოვრებელი ზონით (სზ), ხოლო ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№0120106382-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, იმერეთის ქ. №20ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე

(საკადასტრო კოდი: №81.08.33.321) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს 2020 წლის 15 აპრილის №16-01201061881 წერილის თანახმად, აღნიშნულ მიწის ნაკვეთს ფაქტობრივად გააჩნია გზის ფუნქცია. შესაბამისად, ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, კომპეტენციის ფარგლებში, მოთხოვნილ ზონის ცვლილებას (სატრანსპორტო ზონა 1-ის გავრცელებას) მიზანშეწონილად მიიჩნევს.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01200641817-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილის №37ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.007.020) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) გავრცელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 23 მარტის №0120083344 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№0120072464-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, „ჩალიპირებში" არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.032.894) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 19 ივნისის №18-0120172950 და 2020 წლის 4 მაისის №01201251703 წერილების მიხედვით, სამსახური თანახმაა №01.72.14.032.894 საკადასტრო ერთეულზე და მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულებზეც №01.72.14.032.894, №01.72.14.055.171, №01.72.14.034.231, №01.72.14.034.024, №01.72.14.034.057, №01.72.14.034.545, №01.72.14.034.458, №01.72.14.034.626, №01.72.14.034.627, №01.72.14.034.391, №01.72.14.034.750, №01.72.14.034.747, №01.72.14.032.953, №01.72.14.034.775, №01.72.14.034.794, №01.72.14.034.811, №01.72.14.034.863, №01.72.14.034.862, №01.72.14.034.859, №01.72.14.034.858, №01.72.14.034.884, №01.72.14.034.882, №01.72.14.034.883, №01.72.14.034.025, №01.72.14.094.551, №01.72.14.055.060, №01.72.14.094.787, №01.72.14.034.748, №01.72.14.094.532, №01.72.14.034.531, №01.72.14.055.167 განხორციელდეს სარეკრეაციო ზონა 2-ით ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, „ჩალიპირებში" არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.032.894, №01.72.14.034.231, №01.72.14.034.024, №01.72.14.034.057, №01.72.14.034.545,

№01.72.14.034.458, №01.72.14.034.626, №01.72.14.034.627, №01.72.14.034.391, №01.72.14.034.750, №01.72.14.034.747, №01.72.14.032.953, №01.72.14.034.775, №01.72.14.034.794, №01.72.14.034.811, №01.72.14.034.863, №01.72.14.034.862, №01.72.14.034.859, №01.72.14.034.858, №01.72.14.034.884, №01.72.14.034.882, №01.72.14.034.883, №01.72.14.034.025, №01.72.14.094.551, №01.72.14.055.060, №01.72.14.094.787, №01.72.14.034.748, №01.72.14.094.532, №01.72.14.034.531, №01.72.14.055.167) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01201534139-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ალექსანდრე მაჭავარიანის ქუჩა №16-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.032.460) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონის (სზ) გავრცელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 12 ივნისის №01201641617 წერილის თანახმად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის, კერძოდ, სარეკრეაციო ზონის საცხოვრებელი ზონით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ფენის მოხსნა.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №0120114812-67, №0120106382-67, №01200641817-67, №0120072464-67 და №01201534139-67 (სულ: 5 წინადადება) განცხადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 2 ივლისის **№12-032018473-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №0120114812-67, №0120106382-67, №01200641817-67, №0120072464-67, №01201534139-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 2 ივლისის **№12-032018473-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №0120114812-67, №0120106382-67, №01200641817-67, №0120072464-67, №01201534139-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 3 ივლისის №12-03201851-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ვიქტორ წილოსანმა.

მომხსენებლის (ვ. წილოსანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 1-ლი ივლისის №20.672.862 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 2 წინადადება - №012016563-67, №01201041127-67).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№012016563-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, სტალინის ქუჩაზე; ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ზონა სამთავრობო „ა"-ში, კოტეჯი №1-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.110.020)

ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს 2020 წლის 24 ივნისის №16-01201761139 წერილის თანახმად, სსიპ - ტრანსპორტის განვითარების სააგენტომ განიხილა წარდგენილი დოკუმენტაცია და ადგილზე შეისწავლა არსებული მდგომარეობა. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ფაქტობრივად წარმოადგენს გზას, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული გზა არ ჩაითვლება ერთადერთ, მთავარ პარალელურ და მიმდებარე განაშენიანებასთან მნიშვნელოვან მაკავშირებელ გზად, ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, კომპეტენციის ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

ასევე, ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის რეკომენდაციით, №01.20.01.110.020 საკადასტრო ერთეულის მომიჯნავედ არსებულ №01.20.01.110.022 საკადასტრო მიწის ნაკვეთის ნაწილზე დარჩენილი სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) იცვლება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, სტალინის ქუჩაზე; ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ზონა სამთავრობო „ა"-ში, კოტეჯი №1-ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.20.01.110.020, №01.20.01.110.022) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01201041127-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ორხევის ხიდის მიმდებარედ (ნაკვეთი: №003/021) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.24.003.044) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სპეციალური ზონა 1-ით ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ინიციატივით, №01.19.24.003.044 საკადასტრო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ №01.19.24.003.020 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზეც ხორციელდება სარეკრაციო ზონა 1-ის (რზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 2 ივნისის №18-01201541386 წერილის თანახმად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი:

№01.19.24.003.044 და №01.19.24.003.020) განხორციელდეს სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ორხევის ხიდის მიმდებარედ (ნაკვეთი: №003/021) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.24.003.044 და №01.19.24.003.020) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია.

ცვლილებას ასევე ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №012016563-67 და №01201041127-67 (სულ: 2 წინადადება) განცხადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 3 ივლისის **№12-03201851-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №012016563-67, №01201041127-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 3 ივლისის **№12-03201851-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №012016563-67, №01201041127-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 9ივლისის №12-03201131-03 წერილი)

დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა სერგო ბირკაძემ.

მომხსენებლის (ს. ბირკაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ცვლილება შედის „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებით დამტკიცებულ წესში. კერძოდ, ახლებურად ყალიბდება წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი და განისაზღვრება, რომ ამ წესით დადგენილი შეზღუდვების გარდა, მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი და ამტვერებადი მასალის განთავსება ან/და რეალიზაცია ასევე დაუშვებელი იქნება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით განსაზღვრულ შემდეგ შეზღუდვით ზონებში, ფენებში და კონტურებში:

ა) ისტორიული ლანდშაფტის სანიტარული არეალ(ებ)ი;

ბ) წყლის ობიექტების სანიტარული არეალ(ებ)ი;

გ) გარემოს დაცვითი ზონა 3 (გდზ-3);

დ) მდინარეთა შეტბორვის არეალი;

ე) განსაკუთრებული რეგულირების სარეკრაციო ზონა.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა ვ. შაქარაშვილმა (საკრებულოს წევრი), რომელმაც აღნიშნა, რომ წესში ცვლილების შეტანით, გარკვეულ ზონებში შეზღუდვების შემსუბუქება და კონკრეტულ შეზღუდვით ზონებში, ფენებში და კონტურებში შეზღუდვების დატოვება მისასალმებელია, მაგრამ დეტალურად არის გასავლელი ის თემა, თუ რამდენად შესაძლებელი იქნება აღნიშნულის ადმინისტრირება.

ბ-ნმა ს. ბირკაძემ აღნიშნა, რომ წესში ცვლილება ზუსტად იმ მიზნით ხორციელდება, რათა, ერთი მხრივ, ამ სფეროში დასაქმებულ პირებს მიეცეთ საკუთარი

საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვის საშუალება და მეორე მხრივ, ადმინისტრირების ნაწილში შესაბამისი ღონისძიებების გატარება უფრო მარტივი გახდეს.

ამას გარდა, ბატონმა ს. ბირკაძემ ისაუბრა იმ ღონისძიებებზეც, რომელიც ამ სფეროში დასაქმებულების ხელშეწყობის მიზნით კეთდება. ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მეწარმე-სუბიექტების ინტერესების გათვალისწინებით და მათი ხელშეწყობის მიზნით, წესის ამოქმედება გადავადდა 2021 წლის 1-ლ იანვრამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მათ შესაძლებლობა ექნებათ საკუთარი საქმიანობა წესთან შესაბამისობაში მოიყვანონ.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 9 ივლისის **№12-032019131-03 წერილით** წარმოდგენილი „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 214 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტების თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 9 ივლისის №12-032019183-03 წერილი)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ვიქტორ წილოსანმა.

მომხსენებლის (ვ. წილოსანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№12-032019183-03 წერილით** წარმოდგენილია დადგენილების პროექტები:

ა) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

ბ) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად:

ა) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით ცვლილება შედის დადგენილების პირველი მუხლის „ა.ლ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში (დანართი №1.11), ასევე, დადგენილების დანართი №-2-ის 72-ე მუხლში. კერძოდ, დიდი დიღმის III-IV მ/რ-ის სამხრეთ ტერიტორიის, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიების, გლდანის ტბის მიმდებარე ტერიტორიის, ლისის ტბის, ორთაჭალის ბაღების, აკადემქალაქის, კოჯორი-შინდისის მიმდებარე ტერიტორიისა და ხილიანი-დოლიძის მიმდებარე ტერიტორიის ნაწილში. არსებულმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ აღნიშნული ტერიტორიებისთვის დადგენილი რეჟიმები, ხშირ შეთხვევაში, სამშენებლოდ განვითარებისთვის გადაულახავ წინაღობას წარმოადგენს. შესაბამისად, აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია შეზღუდვების გადახედვის აუცილებლობა გამკაცრებული რეჟიმის მოხსნის მიზნით.

ამასთან, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის აღსრულების პროცესში წამოჭრილმა საკითხებმა ცხადყო მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რევიზიისა და გარკვეული ტერიტორიებისთვის ფუნქციური ზონირების დაბრუნების აუცილებლობა დიდი დიღმის, კოჯორი-შინდისისა და გლდანის ტბის არეალებში. შესაბამისად, ცვლილება ხორციელდება დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილსა და „ა.თ" ქვეპუნქტით დამტკიცებულ გამწვანებული ტერიტორიების რუკაში.

კომისიის სხდომაზე საკრებულოსა და კომისიის წევრთა მხრიდან გამოითქვა შემდეგი მოსაზრება, პროექტით წარმოდგენილი რიგი პოზიციები - 6, 7, 8, 9, 11, 16, 17, 21, 22, 23 და 24 არის მუნიციპალური ტერიტორიები. ცალკეულ შემთხვევებში მიწის ნაკვეთები განთავსებულია ხევებში. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, მითითებულ ტერიტორიებზე ზონის ცვლილებებს ეთქვას უარი.

ასევე კომისიის სხდომაზე დადგენილების პროექტის დანართი №2-ის 72 -ე მუხლის მე-4 პუნქტის „კ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) ხილიანი- დოლიძის მიმდებარე ტერიტორია:
დანართი 1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა) განსაზღვრულ ხილიანი-დოლიძის მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლოდ განვითარება:
ა) „A1" არეალში განვითარება დასაშვებია ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.
ბ) „A" არეალში სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შესაბამისად, ტერიტორიაზე არსებული სახასიათო ლანდშაფტის მაქსიმალურად შენარჩუნების პირობით;
გ) გარდა „A1" (ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის) და „A" (განაშენიანების რეგულირების გეგმების) არეალებისა სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია განაშენიანების რეგულირების გეგმების ფარგლებში".

ბ) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ითვალისწინებს რიგ ცვლილებებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, შეზღუდვის არეალებში მდებარე გაუნაშენიანებელი მიწის ნაკვეთებისთვის განვითარების სავალდებულო პირობა აღარ იქნება განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავება (მუხლი 8, მე-4 პუნქტი, „ბ" ქვეპუნქტი).

ამავე ცვლილების ფარგლებში, მე-9 მუხლს ემატება 15^2 პუნქტი, რომლის თანახმად, ფუნქციური ზონების ცვლილების მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა დასაშვებია განსახილველი მიწის ნაკვეთის კონკრეტული

მიზნობრიობით განვითარებისთვის. ამ პუნქტით გათვალისწინებული მიზნობრიობის ფარგლებში შესაძლებელია დაზუსტდეს:

ა) ფუნქციური ზონიდან გამომდინარე, ამ წესებით გათვალისწინებული კ-1, კ-2 და კ-3 კოეფიციენტის და შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის მაჩვენებლები (ზღვრული მაჩვენებლების ფარგლებში);

ბ) ფუნქციური ზონიდან გამომდინარე, ამ წესებით გათვალისწინებული ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების დასაშვები სახეობიდან ერთი ან რამდენიმე სახეობა;

გ) ფუნქციური ზონიდან გამომდინარე, შენობის-ნაგებობის გაბარიტები (სიგრძე ან/და სიგანე).

ამას გარდა, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კ-3 კოეფიციენტით განსაზღვრულ ფართობში განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში არ შედის ცალკე გამოყოფილი 10 კვ.მ. და ნაკლები ფართობის მქონე გრუნტის ზედაპირები (მუხლი 13, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „ა“) .

ამავე ცვლილებით, ყველა ქვეზონისთვის ასევე დასაშვები სახეობაა ჰიდრო ელექტროსადგურებისა და განახლებადი ენერგიისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების განთავსება (მუხლი 15, პუნქტი 8, „თ“ ქვეპუნქტი).

ამასთან, ცვლილება შედის 22-ე მუხლის მე-9 პუნქტში. კერძოდ, სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მერის მიერ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/ადმინისტრაციული ორგანოების დასკვნის საფუძველზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 9 ივლისის **№12-032019183-03 წერილით** წარმოდგენილი შემდეგი საკითხების (დადგენილების პროექტების) გატანა:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის დადგენილების პროექტი კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

მიზანშეწონილად იქნას **მიჩნეული** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 9 ივლისის **№12-032019183-03 წერილით** წარმოდგენილი შემდეგი საკითხების (დადგენილების პროექტების) გატანა:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის დადგენილების პროექტი კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი.

მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 10 ივლისის №12-0320192123-03 წერილი)

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გაიოზ თალაკვაძემ.

მომხსენებლის (ბ-ნი გ. თალაკვაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ახალი კორონა ვირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის გამო ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მთავრობამ მარტის დასაწყისშივე დაიწყო აქტიური მუშაობა ერთი მხრივ, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებისა და ღონისძიებების დაზუსტებაზე და, მეორე მხრივ, ფინანსთა სამინისტროსთან წლის ბოლომდე მისაღები შემოსავლების განსაზღვრაზე. ფინანსთა სამინისტროდან 2020 წლის 15 ივნისს მიღებული

წერილის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტებისათვის საგადასახადო შემოსავლებში მოსალოდნელია დანაკლისი. შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების საორიენტაციო საპროგნოზო მაჩვენებელი თბილისისთვის შემცირდა 95 570 500 (ოთხმოცდათხუთმეტი მილიონ ხუთას სამოცდაათი ათას ხუთასი) ლარით. ასევე, მცირდება სახელმწიფო ბიუჯეტით თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გათვალისწინებული სპეციალური ტრანსფერი 35 000 000 (ოცდათხუთმეტი მილიონი) ლარით.

2020 წელს ფაქტობრივად მიღებული შემოსავლებისა და შემოსულობების სხვა წყაროების პროგნოზის გათვალისწინებით, მცირდება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 17 500 000 (ჩვიდმეტი მილიონ ხუთასი ათასი) ლარით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის - 2 000 000 (ორი მილიონი) ლარით, შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარით ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვ.) გადაცემიდან - 1 462 000 (ერთი მილიონ ოთხას სამოცდაორი ათასი) ლარით, სანქციები (ჯარიმები და საურავები) – 8 000 000 (რვა მილიონი) ლარით. ამასთან, იზრდება გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსპ(ებ)-დან და ა(ა)იპ(ებ)-დან (ქონების მართვის სააგენტოს სახსრები) – 3 000 000 (სამი მილიონი) ლარით, პროცენტები 9 000 000 (ცხრა მილიონი) ლარით, შემოსულობა არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 8 000 000 (რვა მილიონი) ლარით.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში ასახულია 2020 წლის 1-ლი იანვრისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების გამოყენება 2 200 000 (ორი მილიონ ორასი ათასი) ლარის ოდენობით. შესაბამისად, ბიუჯეტის მოცულობა მცირდება სულ 137 332 500 (ას ოცდაჩვიდმეტი მილიონ სამას ოცდათორმეტი ათას ხუთასი) ლარით და შეადგენს 1 101 648 100 (ერთი მილიარდ ას ერთი მილიონ ექვსას ორმოცდარვა ათას ასი) ლარს.

ამის გარდა, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის, სტრუქტურული ერთეულის და რაიონის გამგეობის წინადადებები დამატებითი მოთხოვნების შესახებ, რაც ხორციელდება მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამაში/ქვეპროგრამაში ღონისძიებების ღირებულების დაზუსტებით გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე. მოძიებული ეკონომიების გათვალისწინებით რესურსები გადანაწილდა ბიუჯეტის შესაბამის პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე.

კომისიამ, კომპეტენციის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

1. **გამწვანების ღონისძიებები (კოდი: 03 01) - დაფინანსება მცირდება:** 1 839 900 (ერთი მილიონ რვაას ოცდაცხრამეტი ათას ცხრა ასი) ლარით და პროგრამის დაფინანსების ოდენობა შეადგენს 44 902 000 (ორმოცდაოთხი მილიონ ცხრაას ორი ათასი) ლარს.
2. **დასუფთავების ღონისძიებები (კოდი: 03 02) – დაფინანსება მცირდება:** 8 000 000 (რვა მილიონი) ლარით და პროგრამის დაფინანსების ოდენობა შეადგენს 61 030 000 (სამოცდაერთი მილიონ ოცდაათი ათასი) ლარს.

ამას გარდა, **მცირდება** გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის (კოდი: 10 44) დაფინანსებაც 145 700 (ას ორმოცდახუთი ათას შვიდასი) ლარით.

ასევე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს შერწყმასთან დაკავშირებით (ქალაქ თბილისის მუნიცპალიტეტის 2020 წლის 10 ივნისის №20.605.758 განკარგულება), დაზუსტდა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი: 10 18) პროგრამის სახელწოდება და მომუშავეთა რიცხოვნობა. კერძოდ, გაიზარდა სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა 54 ერთეულით და განისაზღვრა 135 ერთეულით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერის შემცირების გათვალისწინებით, წარმოდგენილ პროექტში დაზუსტებულია სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში დასაფინანსებელი ღონისძიებები შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში:

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი: 01 02 02)
- ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 02 10)
- დასუფთავების ღონისძიებები (კოდი: 03 02).

ასევე, ასახულია სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის (კოდი: 10 19) პროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილება.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 10 ივლისის **№12-0320192123-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეექვსე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 13 ივლისის №12-032019533-03 წერილი)

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ვიქტორ წილოსანმა.

მომხსენებლის (ვ. წილოსანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 8 ივლისის №20.722.896 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 6 წინადადება - №01200701273-67, №01201612556-67, №01201755-67, №01200563708-67(№01201782857-67), №01201753006-67, №01201741584-67).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01200701273-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გარეჯის ქუჩა №33,35-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.21.99.179, №81.21.99.178) მოთხოვნილია სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

საკადასტრო მიწის ნაკვეთები მოქცეულია განაშენიანების კონტურში. მიმდებარე განაშენიანების ხასიათიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტერის საჯარო

სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ინიციატივით, №81.21.99.179, №81.21.99.178 საკადასტრო ერთეულებზე და აგრეთვე ლოგიკური კონტურის შეკვრის მიზნით, მიმდებარედ არსებულ №81.21.06.243, №81.21.06.244 და №81.21.06.727 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო ზონის (სფზ) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 2-ით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გარეჯის ქუჩა №33,35-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.21.99.179, №81.21.99.178, №81.21.06.243, №81.21.06.244, №81.21.06.727) სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01201612556-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელი დიდი ლილო, ტაძრის ქუჩა №11-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.05.306) მოთხოვნილია სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით ცვლილება.

აღნიშნული №81.08.05.306 საკადასტრო ერთეული, ასევე, მიმდებარედ არსებული №81.08.05.304, №81.08.05.467, №81.08.05.469, №81.08.05.320, №81.08.05.504, №81.08.05.505, №81.08.05.506, №81.08.05.507, №81.08.05.525, №81.08.05.050, №81.08.05.537, №81.08.05.468, №81.08.05.060, №81.08.05.033, №81.08.05.538, №81.08.05.548, №81.08.05.541, №81.08.05.313, №81.08.05.327, №81.08.05.471, №81.08.05.550, №81.08.05.552, №81.08.05.551 საკადასტრო ერთეულები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით მოქცეული იყო საცხოვრებელ ზონა 1-ში (სზ-1).

ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ასევე, მიმდებარე განაშენიანების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ინიციატივით ზონის ცვლილება ხორციელდება №81.08.05.306 საკადასტრო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ №81.08.05.304, №81.08.05.467, №81.08.05.469, №81.08.05.320, №81.08.05.504, №81.08.05.505, №81.08.05.506, №81.08.05.507, №81.08.05.525, №81.08.05.050, №81.08.05.537, №81.08.05.468, №81.08.05.060, №81.08.05.033, №81.08.05.538, №81.08.05.548, №81.08.05.541, №81.08.05.313, №81.08.05.327, №81.08.05.471, №81.08.05.550, №81.08.05.552, №81.08.05.551 საკადასტრო ერთეულებზეც.

ზემოაღნიშნულის გათვალსწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელი დიდი ლილო, ტაძრის ქუჩა №11-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.08.05.306, №81.08.05.304, №81.08.05.467, №81.08.05.469, №81.08.05.320, №81.08.05.504, №81.08.05.505,

№81.08.05.506, №81.08.05.507, №81.08.05.525, №81.08.05.050, №81.08.05.537, №81.08.05.468, №81.08.05.060, №81.08.05.033, №81.08.05.538, №81.08.05.548, №81.08.05.541, №81.08.05.313, №81.08.05.327, №81.08.05.471, №81.08.05.550, №81.08.05.552, №81.08.05.551) სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ)საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01201755-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩა, შესახვევი №13-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.001.261) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს 2020 წლის №16-01201772856 წერილის თანახმად, სააგენტო, კომპეტენციის ფარგლებში, მიწის ნაკვეთის მოთხოვნილ ნაწილზე ფუნქციური ზონის - სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01200563708-67(№01201782857-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.097.020) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს 2020 წლის 20 მარტის №16-0120080403 წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიას გააჩნია განვითარების სივრცითი რესურსი. ტრანსპორტის განვითარების სააგენტო ითვალისწინებს, რომ აღნიშნული ტერიტორიის სამშენებლოდ სამომავლო განვითარების პროცესში მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფრასტრუქტურით მოწყობილი გზების უზრუნველყოფა. შესაბამისად, სააგენტო, კომპეტენციის ფარგლებში, მიზანშეწონილად მიიჩნევს, მიწთსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილება მოხდეს ისე, რომ მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ყველაზე ვიწრო მონაკვეთი (სიგანე) იყოს არანაკლებ 11 მეტრი.

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), ხარვეზის სახით, ასევე, ვრცელდება მომიჯნავედ არსებული საკადასტრო ერთეულის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.097.021) ნაწილზეც. აღნიშნული ხარვეზის გასწორების და გზის ლოკალური კონტურის შეკვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ინიციატივით №01.72.14.097.021 საკადასტრო ერთეულზეც ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.72.14.097.020, №01.72.14.097.021) ნაწილზე

სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია იმგვარად, რომ გზის ყველაზე ვიწრო მონაკვეთი (სიგანე) იყოს არანაკლებ 11 მეტრი.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01201753006-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №6ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.212, №01.14.03.042.213) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 29 ივნისის №01201811749 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთებზე განხორციელდეს სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება, აგრეთვე, წარმოდგენილი საკადასტრო ერთეულების სამშენებლოდ განვითარების შემთხვევაში შენარჩუნებული უნდა იქნას ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები.

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01201741584-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა IV მიკრო-რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.186, №01.14.01.001.188) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 2 ივლისის №01201842898 წერილის მიხედვით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის, კერძოდ, სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01200701273-67, №01201612556-67, №01201755-67, №01200563708-67(№01201782857-67), №01201753006-67 და №01201741584-67 (სულ: 6 წინადადება) განცხადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 13 ივლისის **№12-032019533-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №01200701273-67, №01201612556-67, №01201755-67, №01200563708-67(№01201782857-67), №01201753006-67, №01201741584-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 13 ივლისის **№12-032019533-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №01200701273-67, №01201612556-67, №01201755-67, №01200563708-67(№01201782857-67), №01201753006-67, №01201741584-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეშვიდე (მიმდინარე) საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ **(წერილი №12-032017048-03 18.06.2020წ. - დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული №01201421712-67 განცხადება (მე-2 წინადადება))**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ვიქტორ წილოსანმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 2020 წლის 30 ივნისის კომისიის სხდომაზე (ოქმი №61) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული ქალაქ თბილისში, ასათიანის ქუჩა №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.165) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნის (ცვლილების) საკითხი (**განცხადება №01201421712-67).**

მომხსენებლის (ვ. წილოსანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 2 ივნისის №01201542448 წერილის მიხედვით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების

რუკით არსებული ურბანული გამწვანებული არეალების ფენა და გავრცელდეს საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №№01201421712-67 განცხადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 18 ივნისის **№12-032017048-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თანდართული ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 10 ივნისის №20.622.783 განკარგულების „ბ" პუნქტით (თანდართული ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „2" პუნქტით) გათვალისწინებული **№01201421712-67 განცხადების** (სულ: 1 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 28 მაისის **№12-032014984-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 18 ივნისის **№12-032017048-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თანდართული ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 10 ივნისის №20.622.783 განკარგულების „ბ" პუნქტით (თანდართული ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „2" პუნქტით) გათვალისწინებული **№01201421712-67 განცხადების** (სულ: 1 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი დოხტურიშვილი